



]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2147
08/12/2015

2147-01-4-201512082130



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დანართის შესაბამისად /თან ერთვის/.

3. კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კონსტანტინე ქავთარაძე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი - პატელეიმონ კლდიაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი - ირაკლი ავალიანი;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ზვიად ჯავახია;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი გიორგაძე.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით, გამოცხადებული კონკურსის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2015 წლის 14 დეკემბერი.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსი ჩატარდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში /მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3/, ხოლო კონკურსში მონაწილეობის მსურველთა წინადადებების მიღება განხორციელდება 2015 წლის 14 დეკემბერს 14⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე /მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3/.

6. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, ზვიად ჯავახიას/ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ. გვერდზე Kutaisi.gov.ge ან/და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გამოქვეყნება.

7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურდულია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი